ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით შარაშიძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ " ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში შეტანილი იქნეს ცვლილებები და გაიზარდოს 275,3 ათასი ლარით, მ.შ. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" 150,0 ათასი ლარით და მიიმართოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუტურის ობიეტების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენის ხარჯებისათვის, (პროგრამული კოდი 02 05) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის 21/08/2025 წლის პ/28262603 ბრძანება.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებით ,, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" 104,3 ათასი ლარით და მიიმართოს ,,საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა პატრონობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/საწვავის/ბრიკეტის/ შეშის შესყიდვა" (პროგრამული კოდი 04 05);

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულების ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ," 21,0 ათასით და მიიმართოს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე (პროგრამული კოდი 04 05) ძალადაკარგულად გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის მერის ბ46. 46252125 ბრძანება.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა გახდება 36 850,8 ათასი ლარი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია